ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2023 წლის 19 ოქტომბრის** სხდომის

ოქმი # 9

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 20

დღის წესრიგი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესის დამტკიცება და თარიღის დანიშვნა
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე კანდიდატებისთვის ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნა
3. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღის განსაზღვრა
4. ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიაში ცვლილების განხორციელება

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2023 წლის 5 ოქტომბერს ჩატარებულ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე კანდიდატების მიერ ხმათა საკმარისი რაოდენობის ვერმოგროვების გამო (ფაკულტეტის საბჭოს ოქმი #8) საჭირო იყო არჩევნების ხელახალი ჩატარებისთვის თარიღის განსაზღვრა. ამასთანავე, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არჩევნების ჩასატარებლად საჭირო იყო განეხილათ და დაემტკიცებინათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესი (თან ერთვის ოქმს). ს. დუნდუამ შესთავაზა კოლეგებს, არჩევნების ჩატარების თარიღად განესაზღვრათ 16 ნოემბერი, ხოლო საბუთების მიღების ვადებად კი 6 ნოემბერი - 13 ნოემბრის 17:00 საათამდე პერიოდი.

აზრი გამოთქვეს: ხ. მაისაშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესი. არჩევნების ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 16 ნოემბერი.

არჩევნების ჩატარების ადგილი - თსუ VI კორპუსის დარბაზი (#303).
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 15:00 სთ.
კენჭისყრის პერიოდი - 15:15 - 16:30 სთ.
არჩევნების ჩატარების ფორმა - ფარული კენჭისყრა. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საბჭოს სხდომის კვორუმის შემთხვევაში დააგროვებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობას.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაცია შეუძლია ფაკულტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორს.

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარდგენა

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

- CV;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კონცეფცია;
- პირადობის მოწმობის ასლი.
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

კანდიდატთა საბუთების მიღება - 6 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით; ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ VI კორპუსი, ოთახი #203), 10:00-17:00 სთ.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანი საბჭოს წევრების წინაშე წარსდგა წინადადებით, მოეხსნათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე კანდიდატთათვის განსაზღვრული ასაკობრივი შეზღუდვა.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. ტალახაძემ.

დაადგინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე მოიხსნას კანდიდატთათვის განსაზღვრული ასაკობრივი შეზღუდვა.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურმა მიიღო პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის რეცენზენტების რეცენზიები. სამივე რეცენზია არის დადებითი, შესაბამისად, საჭიროა, განისაზღვროს თ. ზურაბაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს შესთავაზა 2023 წლის 2 ნოემბერი, 15:00 საათი, თსუ მე-6 კორპუსის 303-ე აუდიტორია.

აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 2 ნოემბერი, 15:00 საათი, თსუ მე-6 კორპუსის 303-ე აუდიტორია.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საჭირო გახდა ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიაში ცვლილების განხორციელება. ს. დუნდუას განცხადებით, კომისიის ერთ-ერთი წევრის, ბატონ აკაკი ყულიჯანაშვილის გარდაცვალების გამო აუცილებელია კომისიაში ახალი წევრის დამტკიცება. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს კომისიის ახალ წევრად წარუდგინა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნინო ჩიქოვანი.

აზრი გამოთქვეს: ნ. ჭალაგანიძემ.

დაადგინეს: ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიაში განხორციელდეს ცვლილება -აკაკი ყულიჯანაშვილის ნაცვლად კომისიის წევრად დამტკიცდეს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნინო ჩიქოვანი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

19.10.2023

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ლექსანდრე გაბაშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის

სანდრო ტაბატაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო სალომე,

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 5 ოქტომბრის საფაკულტეტო საბჭოზე (ოქმი N 8) ოფიციალურად დამტკიცდა ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ვაჟა შატბერაშვილის დისერტაციის დაცვის კომისია.

მოცემული წერილის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, რომ კომისიის ერთ-ერთი წევრის, პროფესორ აკაკი ყულიჯანიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო დამტკიცებულ კომისიაში შეიტანოთ ცვლილება და მის ნაცვლად დაამტკიცოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების მიმართულების პროფესორი, ქალბატონი ნინო ჩიქოვანი.

ნინო ჩიქოვანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის პროფესორი.

პუბლიკაცია:Chikovani, N. Caucasus: Experience of Intercultural Dialogue and Research Perspectives. *CAUCASUS–PERSPECTIVE OF INTERCULTURAL DIALOGUE*, 4.

პატივისცემით,

სანდრო ტაბატაძე

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

19.10.2023

19 31/20/30 1
023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის

სანდრო ტაბატაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო სალომე,

მოცემული წერილის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, რომ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, თორნიკე ზურაბაშვილის დისერტაციის დაცვის თარიღად დაამტკიცოთ 2 ნოემბერი, 15:00 საათი, თსუ VI კორპუსი, N 303 აუდიტორია.

პატივისცემით,

სანდრო ტაბატაძე

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

19.10.2023

19 31/118/30 1
10 023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის პროცედურა

მუხლი 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ ფაკულტეტი") ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო.
2 . არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის გზით.

მუხლი 2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და რეგისტრაციის პროცედურა

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარდგენა:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
ბ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კონცეფცია;
ე) პირადობის მოწმობის ასლი;
ვ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.
3. კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არჩევნებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე, ელექტრონული სახით, გასაცნობად გაეგზავნებათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაცია შეუძლია ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

მუხლი 3. კენჭისყრის ორგანიზება

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის საარჩევნო პროცედურების დაწყებამდე, ფაკულტეტის დეკანი საბჭოს წევრებს მოახსენებს ინფორმაციას კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ და გააცნობს მათ მიერ ჩაბარებულ დოკუმენტაციას.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, კენჭისყრის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით, საბჭოს წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის

მდივანს და კომისიის წევრს. საარჩევნო კომისიის ერთი წევრი უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი.

3. საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი.

4. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისიის წევრები ფაკულტეტის საბჭოს თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება ათი სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. გამოუყენებელ ბიულეტენად მიიჩნევა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაგდებამდე.

მუხლი 4. საარჩევნო ბიულეტენი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიულეტენი განკუთვნილია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებისთვის;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი, დალაგებული ანბანის მიხედვით;

მუხლი 5. საარჩევნო ყუთი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთით აღჭურვას, რომელიც კენჭისყრის დაწყებამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და ფაკულტეტის საბჭოს წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრთა მიერ, ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით;

2. საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კენჭისყრის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტის

საბჭოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე;

2. ფაკულტეტის საბჭოს წევრი საარჩევნო კომისიის წევრისაგან იღებს ერთ საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით (ბიულეტენზე უნდა იყოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა და დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით). შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს წევრი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კუთხეში, აკეთებს არჩევანს და აგდებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. სააარჩევნო კუთხედ ითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც დაცული იქნება ხმის მიცემის ფარულობა;

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს;

4. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე, საარჩევნო კომისიის საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

მუხლი 7. ხმების დათვლა

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საარჩევნო კომისია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა თანდასწრებით, ხსნის საარჩევნო ყუთს და ითვლის ბიულეტენების საერთო რაოდენობას. ბიულეტენების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას;
2. ბიულეტენების საერთო რაოდენობის დათვლის შემდეგ, საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას;
3. საარჩევნო ბიულეტენი მიიჩნევა ბათილად თუ:
ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის წევრთა 3 (სამი) ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;
ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
4. ხმების დათვლის შემდეგ, საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები:
ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;
ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
5. საარჩევნო კომისიის წევრების მიერ შევსებულ შემაჯამებელ ოქმზე ხელს აწერს საარჩევნო კომისიის სამივე წევრი

მუხლი 8. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არჩეულად ჩაითვლება, თუ მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტ ხმებს.
3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგების გამოვლენის შემდეგ, საარჩევნო კომისია შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე აცხადებს არჩევნების შედეგებს.
3. კანდიდატების მიერ საკმარისი ხმების ვერმიღების შემთხვევაში, იმართება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. არჩევნების მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს, არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) საათისა.
4. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობს მხოლოდ ერთი კანდიდატი და ის ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტ ხმებს, ან მეორე

ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტ ხმებს, ფაკულტეტის საბჭო, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ნიშნავს ხელახალ არჩევნებს.